თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №გ-131. 131233004

2023 წლის 27 ოქტომბერი

დაბა თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის, დაბა თიანეთის ადმინისტრაციულ ერთეულის, დ.თიანეთში არტნის ქუჩის I შესახვევის სახელწოდების შეცვლის და გოჩა ბოდაველის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილების თანახმად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის ადმინისტრაციულ ერთეულის, დაბა თიანეთში არტნის ქუჩის I შესახვევს შეეცვალოს სახელწოდება და დაერქვას გოჩა ბოდაველის სახელი თანდართული რუკის მიხედვით.

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .

3. განკარგულება გადაეგზავნოს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სასამართლოში შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №47.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო მამულაშვილი**